საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

№ _____ ___ ___ 20 წ.

MES 9 15 00376918

08/05/2015

„საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ (GRASS)
ვიცე-დირექტორს, ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს,
ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2015 წლის 01 მაისს შემოსული თქვენი წერილის (ცენტრში რეგისტრაციის №344784) პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ პირველი მუხლის შესაბამისად, ამ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიზანს საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალისა და პროგრამაზე ჩარიცხული პირების შესახებ ინფორმაციის სისტემატიზაცია წარმოადგენს.

აღნიშნული მიზნის მიღწევისათვის, სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია ინფორმაციათა (მონაცემთა) ფართო კატეგორიები, რომელთა რეესტრში შეტანაც ხდება სხვადასხვა დაწესებულების, მათ შორის, უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ (წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი, სტუდენტის სტატუსის შეჩერების თაობაზე მონაცემის რეესტრში შეტანაზე უფლებამოსილ დაწესებულებად, სწორედ, საგანმანათლებლო დაწესებულებას აღიარებს), რისთვისაც, წესის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებებს გადაეცემათ ადმინისტრირების მოდული (მოდულში ხდება შიდა მომხმარებლის შექმნა, უფლებების განსაზღვრა და სხვ.). აღნიშნული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მე-7 მუხლის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულებას ეკისრება რეესტრში ინფორმაციის სრული და სწორი შეტანის ვალდებულება.

ამ ეტაპზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამუშავებს შესაბამისი რეესტრის წარმოების ახალ პროგრამულ უზრუნველყოფას, ვინაიდან მოქმედში გამოვლინდა არაერთი პროგრამული ხარვეზი (ვერ ხორციელდებოდა მონაცემთა ფილტრაცია რიგი კატეგორიების მიხედვით; ძველი პროგრამა ვერ ასახავდა, თუნდაც, სტუდენტის სტატუსის შეჩერების ზუსტ მიზეზს - მაგ: ფინანსურ დავალიანებას, რაოდენობას, ასევე ადგილი ჰქონდა ე.წ. „დუბლირების“ ფაქტებს, ანუ შემთხვევებს, როდესაც სტატუსის შეჩერების ერთი ფაქტი

საქართველო, თბილისი 0193, მ.ალექსიძის ქ.№1; ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 200220(3546); (+995 32) 2 200220(3540) ; www.eqe.ge; info@eqe.ge
1, M. Aleksidze str; 0193 Tbilisi, Georgia, Phone/ Fax:(+995 32) 2 200220(3546);(+995 32)2 200220(3540) www.eqe.ge; info@eqe.ge

მეორდება რამდენჯერმე და სხვ.). სამწუხაროდ, საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის მონაცემთა ბაზების არსებული ინფორმაციის ხარისხის დონე მნიშვნელოვნად განპირობებულია ბაზის პროექტირების პროცედურული და ტექნიკური ხარვეზებით, რომლებიც დაშვებული იყო ადრეულ ეტაპზე, მათ შორის, პირველი ვერსიის შემუშავებისა და ფუნქციონირების დროს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, რეესტრის წარმოების წესით რეგულირებული მმართველობითი ღონისძიების უფრო ეფექტურად განხორციელებისა და ამავდროულად თქვენი, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა დაინტერესებული პირის, საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესის დაკმაყოფილებისათვის, მიზანშეწონილია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოთხოვილ იქნეს ის პირველადი დოკუმენტაცია (ბრძანებები და სხვ.), რომელთა სრულად დამუშავების შედეგად (რასაც, ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი დრო დასჭირდება) შესაძლებელი გახდება სამინისტროს მიერ შემუშავებულ ახალ პროგრამულ უზრუნველყოფაში მონაცემთა ფართო სპექტრისა და მრავალმხრივი კატეგორიების ისეთი ასახვა, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა მონაცემისაგან, მათ შორის, სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ სრული და ავთენტური მონაცემებისაგან შემდგარი სურათის წარმოჩენას (ცხადია, მონაცემთა ისეთ კატეგორიაზეც, როგორიცაა სტუდენტის მიერ ფინანსების არქონის გამო სტატუსის შეჩერების ფაქტი, რამეთუ სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს სწორედ ასეთი ფაქტების შემცირება წარმოადგენს) და რომლის შედეგადაც, ასევე, შესაძლებელი გახდება რეესტრში შეტანილი ინფორმაციით ოპერირება სხვადასხვა მიმართულების მიხედვით.

მიუხედავად ყოველივე აღნიშნულისა, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, ახალი პროგრამული უზრუნველყოფის ფორმირების პროცესში, სამინისტრო ახორციელებს სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ მონაცემების ალტერნატიული გზებით მონიტორინგს.

თქვენი დაინტერესების შემთხვევაში, გამოვთქვამთ მზადყოფნას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან გამოვითხოვოთ, დავამუშავოთ და წარმოგიდგინოთ თქვენთვის საინტერესო მონაცემები, რასაც საკითხის მოცულობიდან გამომდინარე, დასჭირდება გარკვეული პერიოდი და ვერ განხორციელდება მყისიერად, ან უახლოეს პერიოდში.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / იურიდიული და ინფორმაციული უსაფრთხოების სამსახური/ საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - ნინო მეგენეიშვილი